

სახაზინო სამსახურის

ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

საქართველოს 2018 წლის იანვარ-თებერვლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

საქართველოს 2018 წლის იანვარ-თებერვალში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა სულ 1 905 113.7 ათასი ლარი; მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებული იქნა 1 659 590.2 ათასი ლარის მოცულობით, არაფინანსური აქტივების კლებით მიღებულმა შემოსულობებმა შეადგინა 452.0 ათასი ლარი, ფინანსური აქტივების კლებით მიღებული იქნა 1 481.0 ათასი ლარი, ხოლო ვალდებულებების ზრდით 243 590.5 ათასი ლარი.

2018 წლის იანვარ-თებერვალში მიღებული სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებმა (1 659 590.2 ათასი ლარი) შეადგინა პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობის (2 427 049.7 ათასი ლარი) 68.4%;

– გადასახადების პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 2 236 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებულია 1 457 158.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 65.2%;

მათ შორის:

„გადასახადებმა შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ღირებულების ნაზრდზე“ საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 930 000.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 562 806.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 60.5%-ია; მათ შორის:

„საშემოსავლო გადასახადის“ პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 695 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 487 822.5 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 70.2%;

„მოგების გადასახადის“ სახით მიღებული შემოსავლების მოცულობამ (74 984.2 ათასი ლარი) შეადგინა პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობის (235 000.0 ათასი ლარი) 31.9%;

გადასახადებმა ქონებაზე შეადგინა 0.9 ათასი ლარი.

– პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობამ „გადასახადებზე საქონელსა და მომსახურებაზე“ შეადგინა 1 332 500.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 930 467.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 69.8%-ია; მათ შორის:

„დამატებული ღირებულების გადასახადის“ პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 1 004 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 727 044.5 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 72.4%;

„აქციზის“ სახით მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 203 422.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (328 500.0 ათასი ლარი) 61.9%-ია;

– პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობამ „გადასახადებზე საგარეო ვაჭრობასა და საგარეო ეკონომიკურ ოპერაციებზე“ (იმპორტის გადასახადი) შეადგინა 14 500.0

ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 12 622.1 ათასი ლარი, რაც გეგმის 87%-ია.

„სხვა გადასახადების“ სახით მიღებულმა შემოსავლებმა იანვარ-თებერვალში შეადგინა -48 739.0 ათასი ლარი.

სახაზინო კოდების სისტემის რეფორმის ფარგლებში, 2016 წლის პირველი იანვრიდან ყველა გადასახადის სახაზინო კოდი გაუქმდა და ამოქმედდა გადასახადის ერთიანი სახაზინო კოდი; შედეგად გადასახადების მობილიზება ხდება აღნიშნულ ერთიან სახაზინო კოდზე და შემდგომში გადასახადი სახეების მიხედვით ნაწილდება ფაქტიურად დეკლარირებულ ვალდებულებებზე, ქრონოლოგიური წესით, კუთვნილი სავადო თარიღის მიხედვით.

გრანტების პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 127 848.7 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებულია 157 901.7 ათასი ლარი (რაც გეგმის 123.5%-ია); მათ შორის:

– ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული 13 243.6 ათასი ლარი;

– საგარეო წყაროებიდან მიღებული ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტი – 137 680.1 ათასი ლარი;

– სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების გრანტები სულ 1 097.0 ათასი ლარი, რომლის ექვივალენტი უცხოური ვალუტა, ხაზინის სავალუტო ანგარიშზე დონორების მიერ პროექტების დასაფინანსებლად ჩარიცხული თანხიდან, დაკონვერტირდა და ხაზინის ერთიანი ანგარიშის მეშვეობით მიიმართა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში;

– „სამინისტროების და უწყებების მიერ მიღებული ფულადი გრანტების/მიზნობრივი დაფინანსების აღრიცხვის და ხარჯვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის №419 ბრძანების თანახმად, ბიუჯეტში ასახული საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი დანიშნულების გრანტები 5 880.9 ათასი ლარი (მათ შორის, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული 2.9 ათასი ლარი).

„სხვა შემოსავლების“ პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 63 201.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 44 530.6 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 70.5%. მ.შ. საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მიზნობრივი დაფინანსების სახით მიღებული ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა 82.4 ათასი ლარი, რომელიც ბიუჯეტში აისახა ზემოთ მითითებული ბრძანების შესაბამისად.

2018 წლის იანვარ-თებერვალში „არაფინანსური აქტივების კლებით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ (452.0 ათასი ლარი) შეადგინა პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობის (11 200.0 ათასი ლარი) 4%;

მათ შორის:

– შემოსულობებმა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან (354.2 ათასი ლარი) შეადგინა პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობის (10 000.0 ათასი ლარი) 3.5%;

- არაწარმოებული აქტივების გაყიდვიდან მიღებულმა შემოსულობებმა (97.7 ათასი ლარი) შეადგინა პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობის (1 200.0 ათასი ლარი) 8.1%; მათ შორის:

მიწის გაყიდვიდან მიღებული შემოსულობის პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 500.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 33.6 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 6.7%;

რადიოსიხშირული სპექტრით ლიცენზიის სარგებლობით მიღებულმა შემოსულობებმა შეადგინა 64.1 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის (700.0 ათასი ლარი) 9.2%.

„ფინანსური აქტივების კლებით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ შეადგინა 1 481.0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მოცულობის (4 000.0 ათასი ლარი) 37%-ია.

„ვალდებულებების ზრდით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ შეადგინა 243 590.5 ათასი ლარი (რაც საპროგნოზო მოცულობის – 306 264.0 ათასი ლარის 79.5%-ია);

მათ შორის:

- საშინაო ვალდებულებების ზრდით (შემოსულობები ფასიანი ქაღალდებიდან, გარდა აქციებისა) ფაქტიურად მიღებული იქნა – 11 204.2 ათასი ლარი;

- საგარეო ვალდებულებების ზრდით მიღებული იქნა – 232 386.3 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მოცულობის (317 012.0 ათასი ლარი) 73.3%-ია; მათ შორის:

- საინვესტიციო გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტები - 45 468.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (137 012.0 ათასი ლარი) 33.2%-ია; მათ შორის:

- ინვესტიციური კრედიტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული კრედიტები სულ 16 287.4 ათასი ლარი;

- სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების კრედიტები სულ 29 180.9 ათასი ლარი.

- საგარეო წყაროებიდან მიღებული ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები – 186 918.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (180 000.0 ათასი ლარი) 103.8%-ია.

ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების ანგარიშგებაში ასახვისას ამოითიშა კრედიტების და გრანტების თანხები 9 053.0 ათასი ლარის მოცულობით, რომელთა შესაბამისი ექვივალენტები უცხოურ ვალუტაში ჩაირიცხა ხაზინის სავალუტო ანგარიშზე და პროექტის განმახორციელებლების მიერ ხარჯების გაწევის შესაბამისად, ხდება კონვერტირება და ხაზინის ერთიან ანგარიშზე ჩარიცხვის გზით ბიუჯეტის შემოსულობებში მიმართვა.

„საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი ბიუჯეტის მხარჯავი ერთეულების მიერ მიღებული საკონსულო მოსაკრებლის, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული

მომსახურების საფასურისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების აღრიცხვისა და გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 15 ოქტომბრის №835 ბრძანებულების შესაბამისად, საკონსულო მოსაკრებლებისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების სახით, საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილობითი მომართვების საფუძველზე, 2018 წლის იანვარ-თებერვალში სახაზინო სამსახურის მიერ ხაზინის ერთიან ანგარიშზე გატარდა და სახელმწიფო ბიუჯეტის როგორც შემოსულობებში, ასევე გადასახდელებში ასახული იქნა, წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მიერ მიღებული და ადგილზე გახარჯული თანხები, სულ 559.1 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება

სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე 2018 წლის 1 იანვრისთვის რიცხულმა სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებულმა ნაშთმა შეადგინა 557 972.6 ათასი ლარი; აქედან: თავისუფალი ნაშთი – 557 888.8 ათასი ლარი ; ფულადი სახსრები საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად – 83.8 ათასი ლარი („დაცული ტერიტორიების განვითარება“ (გრანტი).

სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე 2018 წლის 1 მარტისთვის რიცხულმა სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთმა შეადგინა 801 994.9 ათასი ლარი; აქედან: თავისუფალი ნაშთი – 801 915.1 ათასი ლარი; ფულადი სახსრები საინვესტიციო გრანტებით პროექტების დასაფინანსებლად („დაცული ტერიტორიების განვითარება“) – 79.9 ათასი ლარი.

„საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-მუხლის, მე-8 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 თებერვლის №176-ე განკარგულების და „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 20-მუხლის, მე-7 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 15 იანვრის №29-ე განკარგულების თანახმად, სულ 135 002.0 ათასი ლარი, სახაზინო ობლიგაციების გამოშვებით მიღებული სახსრებიდან განთავსებულია კომერციულ ბანკებში ვადიანი დეპოზიტის სახით.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 22 ივნისის №301-ე დადგენილების „სახელმწიფო ხაზინის განკარგულებაში არსებული ფულადი სახსრების განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“, თანახმად, ხაზინის განკარგულებაში არსებული სახსრებიდან, 450 000.0 ათასი ლარი განთავსებულია კომერციულ ბანკებში ვადიანი დეპოზიტის სახით.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილებამ (დაგროვება) შეადგინა 244 022.4 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო

2018 წლის იანვარ-თებერვალში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებული იქნა 1 659 590.2 ათასი ლარის მოცულობით (პირველი კვარტლის გეგმა 2 427 049.7 ათასი ლარი); ხარჯებმა შეადგინა 1 365 818.7 ათასი ლარი (პირველი კვარტლის გეგმა 2 245 169.9 ათასი ლარი); საოპერაციო სალდომ შეადგინა 293 771.5 ათასი ლარი, პირველი კვარტლის გეგმა 181 879.8 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ცვლილების შესრულებამ შეადგინა 190 402.6 ათასი ლარი. მათ შორის: შესრულებამ არაფინანსური აქტივების კლების მუხლით 452.0 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდით - 190 854.5 ათასი ლარი.

2018 წლის იანვარ-თებერვალში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინებით სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანმა სალდომ შეადგინა 103 368.9 ათასი ლარი, პირველი კვარტლის გეგმა -122 272.6 ათასი ლარი (უარყოფითი).

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

„საქართველოს 2018 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლების და ფინანსური აქტივების კლების და საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2017 წლის 28 დეკემბრის №481 ბრძანებით დამტკიცებული განწერით, 2018 წლის პირველი კვარტლის გეგმით გასაწევი სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 2 799 877.8 ათასი ლარით (მათ შორის საბიუჯეტო სახსრები – 2 634 067.1 ათასი ლარი, კრედიტები და გრანტები 165 810.7 ათასი ლარი); საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №424 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად, ვალდებულებები რეგისტრირებულია 2 334 667.3 ათას ლარზე, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 1 661 091.4 ათასი ლარი, (მათ შორის საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა 1 599 880.5 ათასი ლარი, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა – 61 210.9 ათასი ლარი), რაც ვალდებულების 71.1%, ხოლო გეგმის 59.3%-ს შეადგენს. საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობამ 2018 წლის იანვარ-თებერვლის მთლიან ხარჯებში შეადგინა 96.3%, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების მოცულობამ კი მთლიანი ხარჯების 3.7%.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 20 სექტემბრის №738 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის ფულის გაცემის ყოველთვიური ოპერატიული ფინანსური გეგმის შედგენის, დამტკიცებისა და ფულის გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ ინსტრუქციის საფუძველზე, ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ, ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში, თანხების

ხარჯვა იანვარ-თებერვალში ხორციელდებოდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ფულის გაცემის ოპერატიული ფინანსური გეგმის მიხედვით.

„საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, იანვარ-თებერვალში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებზე ინფორმაცია ორგანიზაციულ ჭრილში დანართის სახით თან ერთვის, ხოლო გაწეული საკასო ხარჯების სტრუქტურა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგია:

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით: „შრომის ანაზღაურების“ მუხლით ხარჯების დასაფინანსებლად 2018 წლის პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებულია 346 169.1 ათასი ლარი. ამ მიზნით რეგისტრირებული იქნა ვალდებულებები (წარმოდგენილია განაცხადი) 328 121.9 ათას ლარზე, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 213 936.4 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 65.2%-ს და საგეგმო მაჩვენებლის 61.8%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით 2018 წლის პირველი კვარტლის გეგმით განსაზღვრულია 296 915.1 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 206 351.6 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 155 286.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 75.3%-ს და საგეგმო მაჩვენებლის 52.3%-ს შეადგენს.

„პროცენტის“ დაფარვის მუხლით 2018 წლის პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებულია 135 400.0 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 135 399.4 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 94 556.3 ათასი ლარი, რაც გეგმის და ვალდებულების 69.8%-ს შეადგენს. მათ შორის:

– საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 59 948.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (82 399.4 ათასი ლარი) 72.8%-ს შეადგენს;

– საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 34 608.3 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (53 000.0 ათასი ლარი) 65.3%-ია.

„სუბსიდიების“ მუხლით გასაწევი ხარჯების 2018 წლის პირველი კვარტლის გეგმამ შეადგინა 117 771.0 ათასი ლარი, აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 62 052.7 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ – 54 963.6 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 88.6%-ს და გეგმის 46.7%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან შეღავათიანი აგროკრედიტების დასაფინანსებლად 2018 წლის პირველი კვარტლის გეგმით განისაზღვრა 13 000.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 12 431.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 95.6% და ვალდებულების 100%ია.

„გრანტების“ მუხლით გასაწევი ხარჯების 2018 წლის პირველი კვარტლის გეგმამ შეადგინა 240 767.4 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 144 868.6 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (215 256.7 ათასი ლარი) 67.3% და საგეგმო მაჩვენებლის 60.2%-ია.

ხარჯების აღნიშნული კატეგორიიდან 2018 წლის იანვარ-თებერვალში ავტონომიური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს

ტრანსფერების სახით გადაერიცხათ 135 554.0 ათასი ლარი, ანუ ვალდებულების (192 239.5 ათასი ლარი) 70.5%.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით 2018 წლის იანვარ-თებერვალში მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 548 043.6 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (765 402.8 ათასი ლარი) 71.69% და საგეგმო პარამეტრის (854 794.3 ათასი ლარი) 64.1%-ია.

აღნიშნული მუხლიდან მოსახლეობის სოციალური დაცვის ხარჯების დასაფინანსებლად 2018 წლის პირველი კვარტლის გეგმით განისაზღვრა 614 209.6 ათასი ლარი, გადახდამ შეადგინა 400 095.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 65.1%-ია. მათ შორის: საპენსიო უზრუნველყოფის დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 283 809.5 ათასი ლარი, რაც ვალდებულების და გეგმის 66.4%-ია; მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარებების ხარჯების დასაფინანსებლად პირველი კვარტლის გეგმით განისაზღვრა 167 112.8 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 106 957.5 ათასი ლარი, რაც გეგმის 64% და ვალდებულების (166 220.0 ათასი ლარი) 64.3%-ია; ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ხარჯების დასაფინანსებლად პირველი კვარტლის გეგმით განისაზღვრა 225 849.5 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 142 255.6 ათასი ლარი, რაც გეგმის 63% და ვალდებულების (144 591.3 ათასი ლარი) 98.4%-ია.

„სხვა ხარჯების“ მუხლით 2018 წლის პირველი კვარტლის გეგმა განისაზღვრა 253 353.0 ათასი ლარით, აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 210 149.2 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 154 164.3 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 73.4%-ს და გეგმის 60.8%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დასაფინანსებლად პირველი კვარტლის გეგმით განისაზღვრა 145 616.7 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 96 477.8 ათასი ლარი, რაც გეგმის და ვალდებულების (145 616.7 ათასი ლარი) 66.2%-ია.

„არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციით“ 2018 წლის პირველი კვარტლის გეგმით განისაზღვრა 315 352.4 ათასი ლარის ასიგნებები; საანგარიშო პერიოდში აღებული ვალდებულებების ოდენობამ 200 348.9 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ – 190 854.5 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 95.3%-ს და გეგმის 60.5%-ს შეადგენს.

საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებების დასაფინანსებლად განისაზღვრა 94 734.0 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 47 782.9 ათასი ლარის ვალდებულებები, გადახდამ (45 283.2 ათასი ლარი) შეადგინა ვალდებულების 94.8% და საგეგმო მაჩვენებლის – 47.8%.

„ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციით“, 2018 წლის პირველი კვარტლის გეგმით ფინანსური აქტივებით ოპერაციების დასაფინანსებლად განსაზღვრულია 49 273.5 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 21 502.1 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 19 476.6 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 90.6%-ს და გეგმის 39.5%-ს შეადგენს.

„ვალდებულებების კლების“ მუხლით 2018 წლის პირველი კვარტლის გეგმით განსაზღვრულია 190 082.0 ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა

ვალდებულებებმა შეადგინა 190 082.0 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 84 941.5 ათასი ლარი, რაც ვალდებულების და გეგმის 44.7%-ს შეადგენს. მათ შორის:

- საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 84 859.5 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (185 000.0 ათასი ლარი) 45.9%-ია;
- საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 82.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (5 082.0 ათასი ლარი) 1.6%-ია.

ორგანიზაციული კოდების მიხედვით დანართის სახით თანდართულია ასევე ინფორმაცია კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების შესახებ, რომელთა ანგარიშგებაში ასახვის საფუძველს წარმოადგენს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაცია გრანტებისა და საერთაშორისო საინვესტიციო კრედიტების ფარგლებში ჩამორიცხული თანხების შესახებ, მ.შ. ინფორმაცია თანხების შესახებ, რომელთა ათვისება პროექტის განმახორციელებლების მიერ ხდება სახაზინო ანგარიშების გაუვლელად.

„სახაზინო სამსახურის მიერ საბიუჯეტო ორგანიზაციების სამივლინებო და წარმომადგენლობითი ხარჯების ანგარიშის გახსნისა და კორპორაციული ბარათების დამზადების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 15 თებერვლის №92 ბრძანების თანახმად, საქართველოს ბანკში გახსნილ სახაზინო სამსახურის კორპორაციულ საბარათე ანგარიშზე რიცხულმა ნაშთმა 2018 წლის პირველი მარტისთვის შეადგინა 416.3 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა ასახულია შესაბამისი უწყებების საკასო ხარჯებში.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში

2018 წლის იანვარ-თებერვალში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებმა ფუნქციონალურ ჭრილში შეადგინა 1 556 673.3 ათასი ლარი და ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით, შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხაზით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 289 355.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (470 934.4 ათასი ლარი) 61.4%-ია. აღნიშნულ ხარჯებში აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 48 512.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (100 134.4 ათასი ლარი) 48.4% და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების 16.8%-ია; სახელმწიფო ვალებთან დაკავშირებული ოპერაციების ხარჯების დაფინანსების – 95 517.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის (138 310.2 ათასი ლარი) 69.1% და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების 33%.

თავდაცვის ღონისძიებების ხარჯების დასაფინანსებლად 2018 წლის პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებულია 270 935.4 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 184 990.1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 68.3%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის (1 556 673.3 ათასი ლარი) 11.9%.

საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ხაზით 2018 წლის პირველი კვარტლის გეგმით განსაზღვრულია 262 357.8 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო

ხარჯმა შეადგინა 152 919.9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 58.3%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 9.8%; პოლიციის სამსახურის და სახელმწიფო დაცვის ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 84 917.1 ათასი ლარი, ანუ გეგმის (141 561.5 ათასი ლარი) 60%; სასამართლოებისა და პროკურატურის დაფინანსების ხარჯებმა (17 289.1 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (31 601.5 ათასი ლარი) 54.7%; სასაჯელაღსრულების დაწესებულებების დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 18 522.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (32 961.0 ათასი ლარი) 56.2%-ია.

ეკონომიკური საქმიანობის ხაზით 2018 წლის პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებულია 238 323.2 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 118 338.6 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 49.6%. აღნიშნულ ხარჯებში საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა (7 612.0 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (12 852.4 ათასი ლარი) 59.2%; სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობისა და მონადირეობის დაფინანსების ხარჯებმა (23 437.2 ათასი ლარი), გეგმის (35 978.0 ათასი ლარი) 65.1% შეადგინა; ტრანსპორტის ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 131 543.0 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 66 901.1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 50.9%.

გარემოს დაცვის ხაზით 2018 წლის პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებულია 14 698.4 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 6 662.5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 45.3%.

საბინაო-კომუნალური მეურნეობის ხაზით 2018 წლის პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებულია 6 807.8 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 2 724.7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 40%. მათ შორის, წყალმომარაგების ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 652.5 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი შეადგინა 370.6 ათასი ლარი, რაც გეგმის 56.8%-ია.

ჯანმრთელობის დაცვის ხაზით 2018 წლის პირველი კვარტლის გეგმით განსაზღვრულია 260 937.3 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 156 473.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 60%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 10%; ამბულატორიული მომსახურების ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 187 367.4 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა (124 042.8 ათასი ლარი) შეადგინა გეგმიური მაჩვენებლის 66.2%; საავადმყოფოების მომსახურებისათვის გაწეულმა ხარჯებმა (21 356.9 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (39 797.5 ათასი ლარი) 53.7%; საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების ხარჯები დაფინანსდა – 5 243.8 ათასი ლარით, რაც გეგმის (10 504.4 ათასი ლარი) 49.9%-ია.

საქმიანობა კულტურის, დასვენებისა და რელიგიის სფეროში დაფინანსდა 44 584.4 ათასი ლარით, რაც 2018 წლის პირველი კვარტლის გეგმიური მაჩვენებლის (104 174.0 ათასი ლარი) 42.8%-ს შეადგენს. ტელე-რადიო მაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის დასაფინანსებლად განსაზღვრულია 13 924.2 ათასი ლარი გამოყოფა, საკასო ხარჯმა (8 983.5 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის 64.5%.

განათლების სფეროს დასაფინანსებლად პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებულია 278 675.1 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 185 787.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 66.7% და სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 11.9%; აღნიშნულ ხარჯებში ზოგადი განათლების დაფინანსებამ შეადგინა – 97 103.9 ათასი ლარი, რომელიც გეგმის (147 688.2 ათასი ლარი) 65.7%-ია; უმაღლესი განათლების დაფინანსებამ – 35 422.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (41 139.2 ათასი ლარი) 86.1%-ია.

სოციალური დაცვის ხაზით პირველი კვარტლის გეგმით განსაზღვრულია 652 678.9 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 414 837.1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 63.6%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 26.6%. ხანდაზმულთა სოციალური დაცვის ხარჯების დასაფინანსებლად განსაზღვრულია 435 262.2 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა შეადგინა 288 684.7 ათასი ლარი, ანუ გეგმის 66.3%; ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვისთვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 109 030.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (171 679.8 ათასი ლარი) 63.5%-ია.

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ ოცდაოთხ შემთხვევაში შეადგინა სულ 923.6 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 230.8 ათასი ლარი.

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში აუთვისებელი თანხების მოცულობამ 2018 წლის 1 მარტის მდგომარეობით შეადგინა 692.8.0 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ ოთხ შემთხვევაში შეადგინა სულ 4 155.5 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 1 763.3 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2018 წლის 1 მარტისთვის აუთვისებელი თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 2 392.2 ათასი ლარი.

ორგანიზაციულ ჭრილში თანხების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია თან ერთვის.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ ორ შემთხვევაში შეადგინა სულ 6 200.0 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 2 040.5 ათასი ლარი.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2018 წლის 1 მარტისთვის აუთვისებული თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 4 159.5 ათასი ლარი.

წინა პერიოდში წარმოქმნილი სხვა კრედიტორული დავალიანებების დაფარვა

„საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საანგარიშო პერიოდში წინა წლებში წარმოქმნილი კრედიტორული დავალიანებების დასაფარად გამოყოფილი იქნა 15 000.0 ათასი ლარი. აქედან: ცალკეული ღონისძიებების სახით წინა პერიოდში წარმოქმნილი დავალიანების დასაფარად განისაზღვრა 12 000.0 ათასი ლარის ასიგნება, საკასო ხარჯმა შეადგინა 11 262.1 ათასი ლარი, („საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის“ მიერ, წინა წლებში შესრულებული საგზაო სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადახდა - 11 262.1 ათასი ლარი), წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის დაზუსტებულმა გეგმამ „სხვა ხარჯების“ მუხლით შეადგინა 3 000.0 ათასი ლარი. აქედან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გამოეყო 51.8 ათასი ლარი(საკასო ხარჯი – 51.8 ათასი ლარი), ხოლო საბიუჯეტო ორგანიზაციების დავალიანების დასაფარად საინკასო დავალებით ჩამოჭრილი თანხების ასანაზღაურებლად გეგმამ შეადგინა 2 948.2 ათასი ლარი (საკასო ხარჯი - 999.3 ათასი ლარი).

„საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ცალკეული ღონისძიებებისათვის და წინა პერიოდში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების გარდა, საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საბიუჯეტო ასიგნებებში წარმოქმნილი ეკონომიის ხარჯზე წინა პერიოდის დავალიანების დასაფარად საკასო ხარჯმა საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისი მუხლებით შეადგინა 26 220.2 ათასი ლარი, მათ შორის, მიზნობრივი გრანტის ფარგლებში გაწეულმა ხარჯმა – 1 381.7 ათასი ლარი.

ამასთან, ბიუჯეტის შესახებ კანონით განსაზღვრული ღონისძიებებისა და გამოყოფილი ასიგნებების მიხედვით საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საანგარიშო

პერიოდში, წინა წლების დავალიანებების დასაფარავად გაწეულ ხარჯებზე ინფორმაცია ორგანიზაციულ ჭრილში ერთვის დანართის სახით.

„წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის“ ფარგლებში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, შესაბამისი სააღსრულებლო ბიუროების საინკასო დავალებებით სახაზინო სამსახურის ანგარიშებიდან წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან, დაკისრებული თანხების სახით ავტომატურ რეჟიმში იძულების წესით ჩამოჭრილი იქნა 999.3 ათასი ლარი, რაც გატარდა საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ორგანიზაციულ კოდზე.

2018 წლის იანვარ-თებერვალში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ წარმოდგენილი ანგარიში შედგენილია სახაზინო სამსახურში არსებული ოპერატიული მონაცემების საფუძველზე.